

სამთავრობო პროგრამა „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“: შესაძლებლობის ზღვარი, საოცნებო პერსპექტივა, თუ რეალობა

საზოგადოებაში მკვეთრად პოლარიზებული პოზიციების მიუხედავად, 5 იანვრის არჩევანი ერგო **„საქართველო სიღარიბის გარეშე“.** მთავრობამ პრეზიდენტისაგან მიიღო შესაბამისი დავალება და წინასაარჩევნო დაპირება პროგრამის სახით ჩამოყალიბდა. საქართველოს პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა მთავრობის ახალ შემადგენლობას და მის მიერ ინიცირებულ სიღარიბის დაძლევის პროექტს.

უმრავლესობის მიერ მოწონებული და სამოქმედოდ აღიარებული დოკუმენტის თანახმად, საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილია მიზნები და ამოცანები, რომელიც 2008-2012 წლებში უნდა განხორციელდეს. ახალ სამთავრობო გუნდს ეჭვიც არ ეპარება მისი შესრულების შესაძლებლობებში. თუმცა, არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც. ერთი შეხედვით, მთავრობის განაცხადში იკითხება საოცნებო პერსპექტივა. ამ დოკუმენტის უფრო ღრმა გაცნობისას კი იქმნება შთაბეჭდილება, რომ წარმოდგენილი ცალკეული მიმართულებები და ტემპები არ შეესაბამება ფაქტობრივად არსებულ რესურსებს.

ბუნებრივია, დიდია საზოგადოების მოლოდინი და ინტერესი თავისი არჩევანის მიმართ. ცხადია, მას აქვს უფლება იცოდეს, თუ რას დაუჭირა მხარი, რამდენად რეალისტურია მიღებული დაპირებების შესრულება ან რამდენად შორია აღთქმული საოცნებო ქვეყანა, სადაც ღარიბი და მიუსაფარი აღარ იქნება.

საქართველოს სამთავრობო პროგრამა – **„ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“** – ამა წლის 4 თებერვალს გამოქვეყნდა. ახლა უკვე შეიძლება მასზე საფუძვლიანი მსჯელობა და პროგნოზების გაკეთება. თუმცა, ის, შეიძლება ითქვას, განაცხადია და მისი რეალიზაციისთვის პარლამენტის შესაბამის კომიტეტებში უკვე იხილება მთლიანი პაკეტის შემადგენელი კანონპროექტები.

გამოქვეყნებული სახით, ეს დოკუმენტი არ გახლავთ მხოლოდ პოლიტიკური ნების გამომხატველი. მას ახალი ეკონომიკური წესრიგის, აწმყოს გარდაქმნის და უკეთესი მერმისის დამკვიდრების პრეტენზიაც გააჩნია.

ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა განაცხადის გაკეთებას, არამედ მის საფუძვლიანობას (გათვლებს), რეალიზაციის გზებს და ფაქტობრივ შესაძლებლობებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, უდავოდ საინტერესოა რასთან გვაქვს საქმე, როგორ აფასებენ ამ დოკუმენტს ქართველი ექსპერტები?

ჟურნალმა **„ბიზნესი და კანონმდებლობა“** რამდენიმე კითხვით მიმართა ბატონ **ლადო პაპავას**.

„ბ.კ.“ რამდენად შეესაბამება აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილი „მოსახლეობისა“ და „ეროვნული“ კეთილდღეობის, ასევე, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განსაზღვრული ორიენტირები საზოგადოებრივ დაკვეთას და არსებობს თუ არა რეალური რესურსი ამ პროგრამის განხორციელებისათვის?

ლადო პაპავა, საქართველოს პარლამენტის წევრი, პროფესორი

— არც თუ ისე დიდი ხნის წინ საქართველოს პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა მთავრობას პრემიერ-მინისტრის **ლადო გურგენიძის** ხელმძღვანელობით. ნდობის გამოცხადების პროცედურა იმავდროულად მთავრობის იმ 5-წლიანი (2008-2012წწ.) პროგრამისთვის ნდობის გამოცხადებასაც გულისხმობს, რომელსაც ჰქვია **„ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“**.

ზოგადად რა შეიძლება ითქვას ამ პროგრამაზე? **პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის, რომ ეს დოკუმენტი არ არის პროგრამა (ნებისმიერი პროგრამა იწყება**

მიმდინარე სიტუაციის აღწერით, ანუ რა მდგომარეობაა, რა არის მიღწეული, სად არის პრობლემები, აქედან გამომდინარე, ყალიბდება მიზნები, შემდეგ მიზნის მიღწევის საშუალებები, მიზნის მიღწევის ვადები და მის შესრულებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტები — აი, ასეთი უნდა იყოს პროგრამა). უნდა ითქვას, რომ მთავრობის კანდიდატებისთვის ნდობის გამოსაცხადებლად პარლამენტში აქამდე წარმოდგენილი ამ ტიპის არცერთი დოკუმენტი არასდროს ყოფილა პროგრამა, იყო ეს **ზურაბ ჟვანიას,** თუ **ზურაბ ნოღაიდელის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, რომელიც არაერთხელ იქნა პარლამენტში მოწონებული. **ყველა ეს დოკუმენტი იყო ზოგადი განცხადებები აბსტრაქტულ თემებზე, ყოველგვარი კონკრეტიკის გარეშე. შეიძლება ითქვას, რომ ეს უფრო იყო განზრახულობათა განაცხადები, ვიდრე პროგრამები. თუმცა, მოდით ობიექტურად შევხედოთ პრობლემას — შეეძლო კი რომელიმე მთავრობას მოემზადებინა სერიოზული პროგრამა? პასუხი უარყოფითია — არ შეეძლო და ეს არც ახლა შეუძლია, თუნდაც იმიტომ, რომ ამის ობიექტურ საფუძვლებს თავად კონსტიტუცია გამორიცხავს**. ყველა შემთხვევაში მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების, მისი წევრების შერჩევისთვის საჭირო ვადები იმდენად შემჭირდოებული იყო, რომ ამ ვადებში პროგრამის დაწერა ფიზიკურად იყო შეუძლებელი. რაც შეეხება ამ ახალ დოკუმენტს, რომელსაც ასევე პროგრამა ჰქვია, წინამორბედებთან შედარებით აშკარად უკეთესია იქიდან გამომდინარე, რომ აქამდე არსებული **ზოგადი და ბუნდოვანი განცხადებების ფონზე გაჩნდა კონკრეტიკა, ანუ გაჩნდა კონკრეტული ჩანაწერები ეკონომიკის ზრდის ტემპთან, ინფლაციის დონესთან, ბიუჯეტის პრობლემებთან, სოციალურ თემატიკასთან დაკავშირებით; აქ უკვე არის კონკრეტული პარამეტრები, კონკრეტული ინდიკატორები, რაზეც 5 წლის შემდეგ მთავრობას (თუკი იმ პერიოდისთვის ის თავის ადგილას იქნა), შეიძლება მოსთხოვო პასუხი**. მიუხედავად ასეთი კონკრეტიკისა, ეს დოკუმენტი პროგრამა მაინც არ არის და აი, რატომ: **ჯერ ერთი**, ყველაფერი მოცემულია ზოგადად, რომ 5 წლის განმავლობაში ამ ყველაფერს მივაღწევთ, მაგრამ რა გარანტია არსებობს იმისა, რომ ეს გუნდი 5 წელი იქნება მთავრობაში?! ჩვენი კონსტიტუციური მოდელით ყველაზე დაუცველი ხომ სწორედ მთავრობაა (პრეზიდენტი აირჩევა 5 წლით, პარლამენტი — 4 წლით, მთავრობას კი თუნდაც ბიუჯეტის მიღების მომენტში უკვე აქვს ნდობის გამოცხადების პრობლემა). ამიტომ, **ეს ყველაფერი გაწერილი უნდა იყოს წლების მიხედვით, რომ თუნდაც პირველი წლის გავლის შემდეგ ვიცოდეთ, ამ მთავრობამ რა გააკეთა, რამდენად**



შეესაბამება ამ ერთი წლის შემდეგ მიღებული პარამეტრები საბოლოო მიზნის მიღწევის დინამიკას. ასე რომ, ერთი წლის შემდეგ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔᲡ (ვიმეორებ, თუ ამ მთავრობის წევრები ისევ ისხდებიან თავიანთ კაბინეტებში), ვერ შევეკითხებით, რა როგორ სრულდება, რადგან შესაძლოა მივიღოთ პასუხი, რომ წინ კიდევ 4 წელია. ამიტომ, ის, რომ შესასრულებელი ამოცანები წლების მიხედვით არ არის გაწერილი, ამ დოკუმენტის პირველი მინუსია. ამ დოკუმენტის შემდეგი მინუსი გახლავთ ის, რომ არ ჩანს, რის საფუძველზე კეთდება ეს ყველაფერი, ანუ რა რესურსი არსებობს მის განსახორციელებლად, რა ღონისძიებებია გასატარებელი იმისათვის, რომ აქ გაწერილი პუნქტები იქნას რეალიზებული და შემდეგი, ანუ მესამე მინუსი — დოკუმენტში არ ჩანს, კონკრეტულად ვინ უნდა გააკეთოს ეს ყველაფერი, ანუ აქ საუბარი უნდა იყოს, რომელი სამინისტროს ან სამინისტროთა ერთობლიობის გასაკეთებელია ესა თუ ის ღონისძიება, რა სამართლებრივი დოკუმენტი უნდა იქნას მომზადებული კონკრეტულ შემთხვევაში და ვინ არის მასზე პასუხისმგებელი. თუმცა, თავისთავად ეს ძალიან საინტერესო დოკუმენტია.

კიდევ ერთი მომენტი – მე აღვნიშნე, რომ მთავრობის დამტკიცების საკონსტიტუციო ვადებია შემცირებული. წარმოიდგინეთ, ამ დოკუმენტში არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩანაწერები ეკონომიკასა და სოციალურ სფეროზე. გავიხსენოთ, **როდის შემოუერთდა ახალ მთავრობას ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მინისტრი – ის ნიუ-იორკში იყო და თბილისში პარლამენტში მთავრობის შემადგენლობის დამტკიცების წინა დღეს ჩამოვიდა. ეკონომიკური განვითარების მინისტრი პრეზიდენტს ახლდა სტრასბურგში, ისიც დამტკიცებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდა. ასე რომ, არც ერთს და არც მეორეს ამ დოკუმენტის შედგენაში მონაწილეობა არ მიუღიათ, რაც იმას ნიშნავს, რომ პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა მთავრობას, რომლის ორ საკვანძო ფიგურას (რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს დოკუმენტი), ამაზე არ უმუშავია!** იმიტომ კი არა, რომ არ უნდოდათ, უბრალოდ, ვერ იმუშავებდნენ, რადგან ფიზიკურად აქ არ იყვნენ. ეს არის კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ კონსტიტუციური ვადები მთავრობის დაკომპლექტებასთან და მისთვის ნდობის გამოცხადებასთან დაკავშირებით არის ხელოვნური. კარგად გამიგეთ, **მე წარმატება მინდა ვუსურვო ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის ახალ მინისტრს, ისევე როგორც მთლიანად ახალ მთავრობას, იმიტომ რომ მთავრობის წარმატება ქვეყნის წარმატებაც იქნება, მაგრამ როგორ მოვთხოვოთ პასუხი სანდრო კვიტაშვილს იმ დოკუმენტის შესრულებაზე, რომლის შედგენაშიც მას ფაქტობრივად მონაწილეობა არ მიუღია**. ამით სქემის არაობიექტურობაზე ვაკეთებ აქცენტს, ანუ იმაზე, რომ იმ ვადებში, რა ვადებშიც ასეთი რამ უნდა გაკეთდეს, ობიექტურად პროგრამის წარმოდგენა შეუძლებელია.

გადავიდეთ დოკუმენტის სათაურზე — **„ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“**. „სიღარიბის გარეშე“ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში სიღარიბე აღარ უნდა იყოს. ახლა **წაგიკითხავთ პუნქტს მთავრობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტიდან, რომლის მიხედვითაც მთავრობა სულაც არ თვლის, რომ ქვეყანაში სიღარიბე სრულად აღმოიფხვრება: „საგრძნობლად შემცირდება სიღარიბე“** (ქვეთავი **„მოსახლეობის კეთილდღეობა“**, პუნქტი – 3). ნიშნავს კი ეს იმას, რომ სიღარიბე აღარ იქნება? შემდეგ ვკითხულობთ — „**5 წელიწადში სოციალური პროგრამების ბენეფიციართა 50%, მათი კეთილდღეობის გაუმჯობესების გამო, გამოვა ბენეფიციართა სიებიდან“**. კი, ბატონო, მაგრამ მეორე 50% ხომ დარჩება? აქ არ არის ნაჩვენები, ბენეფიციართა საერთო რაოდენობა, მაგრამ 50% თუ გამოვა, ნახევარი ხომ რჩება და როგორ იქნება 5 წლის შემდეგ საქართველო სიღარიბის გარეშე? ვერ იქნება, ხომ? — შევთანხმდეთ ამაზე! ასე რომ, **მთავრობა თავადვე აღიარებს, რომ ის ძირითადი ლოზუნგი, რომელიც სათაურშია გატანილი, მიუღწევადია**. საერთოდ, ეს ტექსტი და მასში გაკეთებული ზოგიერთი ჩანაწერი ცოტა იუმორის განწყობაზე მაყენებს, მაგრამ მკითხველს მინდა უფრო სერიოზულად დაველაპარაკო ამ თემაზე. სიღარიბე მართლაც რთული ფენომენია და **არსებობს სიღარიბის ორი გაგება — აბსოლუტური სიღარიბე და ფარდობითი სიღარიბე**. გაერო-ს სტანდარტების მიხედვით, **აბსოლუტურად ღარიბად ითვლება ადამიანი, რომელიც დღეში ვერ მოიხმარს 2 ამერიკულ დოლარზე მეტს. ამავე სტანდარტებით ღატაკად ითვლება ის, ვისაც დღეში ერთ დოლარზე მეტის მოხმარების საშუალება არა აქვს**. ეს არის აბსოლუტური სიღარიბის და სიღატაკის ზღვარი და ეს ის თემაა, რომელიც ჩვენ ქვეყანაში დაძლევადია. **თუ ამის გაკეთებას (ანუ აბსოლუტური სიღარიბის დამარცხებას) საქართველოს მთავრობა 5 წელიწადში გეგმავს, ეს შეცდომაა**. ეს ის საკითხია, რომელიც ნორმალურმა და პატივმოყვარე მთავრობამ, იმ წარმატებების ფონზე, რომელსაც თვითონვე ძალიან კარგად აპიარებს, უნდა დაძლიოს, სულ ცოტა, ორ წელიწადში მაინც. დღეში 2 დოლარი, ეს თვეში 60 დოლარია, რაც 95 ლარზე ნაკლებია. მაშასადამე, პრაქტიკულად გათვლა იმაზე, რომ ჩვენ თითოეულ მოქალაქეს თვეში 95 ლარი შემოსავალი მაინც ჰქონდეს, დღევანდელი შესაძლებლობებით, შეიძლება ერთ, მაქსიმუმ ორ წელიწადში დარეგულირდეს. ეს სავსებით რეალურად გადაწყვეტადი ამოცანაა.

რაც შეეხება ფარდობით სიღარიბეს, მისი ზღვარი ცვალებადია იმისდა მიხედვით, თუ როგორია ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების დონე. მოვიყვან ასეთ მაგალითს: ალბათ ეჭვი არავის ეპარება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მაღალგანვითარებული სახელმწიფოა. როგორ ფიქრობს ჩვენი მკითხველი, არსებობს თუ არა ამერიკაში სიღარიბე? არსებობს! ოფიციალურად აღიარებულია, **რომ ამერიკაში სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს მოსახლეობის 12%. რას ნიშნავს ამერიკაში „სიღარიბის ზღვარი“? ეს ნიშნავს, რომ საშუალოდ 4-სულიანი ოჯახი, რომელსაც წელიწადში 20 ათას დოლარზე ნაკლები შემოსავალი აქვს, არის ღარიბი, ანუ, თითოეულ წევრზე გამოდის 5 ათასი დოლარი წელიწადში**. ბუნებრივია, საქართველოში 5 ათასი დოლარი რომ ჰქონდეს ერთ სულს, იგი სულაც არ იქნება ღარიბი, მაგრამ ამერიკაში სულ სხვა ეკონომიკური განვითარების დონე, სამომხმარებლო კალათა და ცხოვრების პირობებია, ამიტომ იქ სიღარიბის ზღვარი უფრო მაღალია, ვიდრე ჩვენთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკის განვითარების კვალობაზე ზღვარი იცვლება, ზღვარი თუ იცვლება, როგორც არ

უნდა განვითარდეს ქვეყანა ეკონომიკურად, სიღარიბე ყოველთვის დარჩება, ანუ ყოველთვის დარჩება ადამიანთა გარკვეული რაოდენობა, რომელიც ნებისმიერ ქვეყანაში აღმოჩნდება სიღარიბის ზღვარს მიღმა, რაკიღა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზღვრის განსაზღვრის კრიტერიუმია ცვალებადი და იგი დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე. აქედან გამომდინარე, გეტყვით მთავარს — **სიღარიბის აბსოლუტური აღმოფხვრა, ანუ ქვეყანა სიღარიბის გარეშე, ეს ისეთივე იდეა-ფიქსია, როგორც თავის დროზე პერპეტუუმ-მობილეს შექმნა იყო**. მაშასადამე, ასეთი რამ შეუძლებელია და ეს რომ ასეა, გამოჩნდა თავად მთავრობის ჩანაწერშიც: **წარმოდგენილი დოკუმენტის სათაურში არის ბლეფი, დოკუმენტში კი ჩანაწერი, „საგრძნობლად შემცირდება სიღარიბე", სიმართლეა**. თუმცა, აქაც ვისურვებდი, დაკონკრეტებულიყო, რამდენია ქვეყანაში ბენეფიციართა პროგრამის მიმღები, ღარიბები არიან მარტო ბენეფიციართა პროგრამის მიმღებები, თუ ყველა, ვინც ვაუჩერი მიიღო, ამასთან, ისინი, ვინც ვაუჩერები მიიღო, თუ ღარიბები არ არიან, რატომ გადაყარა მთავრობამ ეს ფული?! ასე რომ, აქ წინ კონკრეტული საკითხები იწევს, რომლებიც გაუგებარია და ამ საკითხშიც გვაქვს პრობლემა.

კიდევ ერთი რამ მინდა აუცილებლად აღვნიშნო – **ეს არის ძალიან ცუდი ქართულით დაწერილი დოკუმენტი, განსაკუთრებით ღიმილისმომგვრელია ამ ტიპის ჩანაწერები — „უმისამართო (ბრტყელი) დახმარების პრაქტიკა შეიცვლება...",** ეს, ალბათ, ინგლისურიდან ნათარგმნია და **ძალიან სამწუხაროა, რომ საქართველოს მთავრობაში არ მოიძებნა ქართული ენის რედაქტორი, რომელიც ამ დოკუმენტს გააკეთილშობილებდა**. კიდევ ერთ კურიოზზე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო — ამ დოკუმენტს აქვს ორი თავი, ორივე ეკონომიკურ ბლოკში, რომლებშიც ფიგურირებს სიტყვა **„კეთილდღეობა",** ერთს ჰქვია **„ეროვნული კეთილდღეობა"**, მეორეს — **„მოსახლეობის კეთილდღეობა"**. ჩემთვის გაუგებარია და მინდა დოკუმენტის ავტორებს ვკითხო, რა განსხვავებაა „ეროვნულ" და „მოსახლეობის" კეთილდღეობას შორის? ეს ყველაფერი ხუმრობის ხასიათზე კი აყენებს ადამიანს, მაგრამ ეს სახელმწიფო დოკუმენტია და სახუმარო ნამდვილად არ არის. ის, რომ ქართულის კარგ მცოდნეს წაეკითხა (ამის გასასწორებლად მაღალი ეკონომიკური განათლება სულაც არ იყო საჭირო), ყველაფერი რიგზე იქნებოდა. თუმცა, გეტყვით რომ **„ეროვნული"** ხშირად **„სახელმწიფოს"** თვალსაზრისით გამოიყენება ხოლმე, მაგრამ ეკონომიკაში არის ცნობილი ტერმინი - **„კეთილდღეობის სახელმწიფო"** (ანუ სახელმწიფო, რომელიც ორიენტირებულია მოსახლეობის კეთილდღეობაზე), აი, **„სახელმწიფოს კეთილდღეობა"** კი ნამდვილად არ მსმენია! ამაზე ავტორებმა უნდა გაგვცენ პასუხი (თუმცა ვეჭვობ, რომ მათ ეს მოახერხონ).

— მთავრობის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ბევრი კონკრეტული ციფრია, რა მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთდა პროგრამაში ეს გათვლები, იმის გათვალისწინებით, რომ სტატისტიკის დეპარტამენტი ეკონომიკის სამინისტროს ქვესტრუქტურაა და ის დამოუკიდებლად კარგა ხანია ვეღარაფერს ითვლის?

— თავიდანვე გეტყვით, რომ რაკიღა დოკუმენტს დასაბუთება არ აქვს, ვერ გეტყვით, საიდან მოდის მასში დაფიქსირებული კონკრეტული ციფრები.

მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო ერთ ციფრზე — ეს არის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი - **„მომდევნო 5 წლის განმავლობაში ეკონომიკა წლიურად 8%-ით გაიზრდება"**. ვთვლი, რომ ეს საკმაოდ რეალისტური ჩანაწერია, მაგრამ აქ მინდა შეგახსენოთ ასეთი რამ: წინასაარჩევნო პერიოდში მთავრობა 5 წელიწადში მთლიანი შიდა პროდუქტის გასამმაგებას გვპირდებოდა, ეკონომიკა 3-ჯერ გაიზრდებაო! ეს ნიშნავს, რომ 5 წელიწადში ეკონომიკის საშუალო წლიური ზრდის ტემპი უნდა იყოს 24-25%. ეს რომ შეუძლებელია, თავიდანვე ნათელი იყო და მხოლოდ წინასაარჩევნო დაპირება იყო, იქიდანაც ჩანს, რომ არჩევნების შემდეგ მთავრობა უკვე რეალისტური 8%-ით შემოვიდა.

რაც შეეხება 7%-იან ინფლაციას — მივესალმები ამას, რადგან, როცა წერენ საშუალო ინფლაცია 7%-ია, იმას ნიშნავს, რომ ცუდ წელიწადსაც კი ინფლაცია არ იქნება ორნიშნა, რადგან, როგორც წესი, გადახრა დაგეგმილიდან 2%-ზე მეტი არ უნდა იყოს (ანუ ინფლაციას 9%-ზე მეტს არ გულისხმობენ). ჩანაწერი ძალიან კარგია, მაგრამ აქ ერთი რამ მინდა საგანგებოდ აღვნიშნო — დღეს ინფლაციას (როგორც სხვა სტატისტიკურ ინფორმაციას ქვეყანაში), აქვეყნებს სტატისტიკის დეპარტამენტი. **ის, რომ სტატისტიკის დეპარტამენტი დიდი ხანია „დაკოდილ მდგომარეობაშია", ძალიან კარგად ვიცით**. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ეს დეპარტამენტი შეიყვანეს მთავრობის შემადგენლობაში, იგი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტრუქტურული ნაწილია და რაც უნდათ, იმას აქვეყნებინებენ. სწორედ ამიტომაა, რომ მოსახლეობის მტკიცებით, ქვეყანაში ინფლაცია გაცილებით მაღალია, ვიდრე ამას სტატისტიკა აქვეყნებს. როდესაც გასული წლის ნოემბერში პირველად უცხადებდნენ ნდობას **ლადო გურგენიძეს**, მან დააყენა სტატისტიკის გარდაქმნის აუცილებლობის საკითხი (რაც მე ძალიან მომეწონა და ამისთვის



შევაქე კიდეც) და წარმოადგინა სამი მოდელი: **სტატისტიკის დეპარტამენტს უნდა დაენიშნოს სამეურვეო თუ სამეთვალყურეო საბჭო, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მის დამოუკიდებლობას, ან სტატისტიკის დეპარტამენტი ჩამოყალიბდეს როგორც დამოუკიდებელი ორგანო (ისეთი, როგორიც ჩვენთან მოქმედი მარეგულირებელი ორგანოებია), ან გადავიდეს პრეზიდენტის დაქვემდებარებაში. ბურგენიძეს** ჰქონდა გეგმა, რომ სტატისტიკას რაღაც უნდა ეშველოს, რათა იგი გახდეს დამოუკიდებელი. აქვე მინდა დავაკონკრეტო ჩემი შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით: ამ სამი მოდელიდან ჩემთვის ერთია ოპტიმალური. ვთვლი, რომ **სტატისტიკა იქნება დამოუკიდებელი, თუკი ის გადავა პრეზიდენტის დაქვემდებარებაში** და გეტყვით, რატომ. თუ სტატისტიკის დეპარტამენტი დარჩა მთავრობის შემადგენლობაში, სამეთვალყურეო თუ სამეურვეო საბჭო ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს მის დამოუკიდებლობას, ზუსტად ისევე, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებელი ვერ აღმოჩნდა დამოუკიდებელი. ვერც მეორე მოდელი ივარგებს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში დეპარტამენტი მაინც ბიუჯეტიდან მიიღებს დაფინანსებას... მარეგულირებელი კომისიების და ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს ის, რომ ისინი ბიუჯეტიდან ფულს არ იღებენ, ანუ ისინი ეკონომიკურად არიან დამოუკიდებლები, ვინაიდან ისინი მათივე რეგულირების სფეროებიდან მიღებული შემოსავლებით არსებობენ. **თუკი სტატისტიკის დეპარტამენტი ბიუჯეტზე იქნა დამოკიდებული, ის ისევე იქნება დამოუკიდებელი, როგორც „საზოგადოებრივი მაუწყებელია“ ვითომ დამოუკიდებელი. ასე რომ, ეს ყველაფერი არის ილუზია.** ამიტომ ჩვენი საკონსტიტუციო მოწყობის პირობებში **ერთადერთი სწორი მექანიზმი არის სტატისტიკის დეპარტამენტი დაექვემდებაროს საქართველოს პრეზიდენტს, საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლის პირობებში – პარლამენტს. პირველ რიგში, პრეზიდენტს უნდა სჭირდებოდეს იმის ცოდნა, როგორ მუშაობს მისი მთავრობა!** დღეს კი, ჩვენდა სამწუხაროდ, სტატისტიკა არის პიარის ელემენტი.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად შეესაბამება ეს პროგრამა საზოგადოებრივ დაკვეთას, გეტყვით შემდეგს: წინასაარჩევნო პერიოდში იყო დაპირება — დეკემბრიდან მინიმალური პენსია იქნება 55 ლარი, იანვრიდან — 76 ლარი. არის იანვარში 76 ლარი?! მგონი, არა. მეხსიერება იმდენად მოკლე ხომ არ გვაქვს, რომ 2-3 თვეში ყველაფერი დაგვავიწყდეს! ისიც ხომ იყო ნათქვამი, რომ 2 წელიწადში, ანუ 2009 წლიდან პენსია 100 დოლარის ექვივალენტი უნდა გახდეს. ვნახოთ, რა გვიწერია ამ დოკუმენტში —**„გატარებული საპენსიო რეფორმის შედეგად გაიზრდება სოციალური პენსიის პაკეტის მოცულობა და ხარისხი, საპენსიო პაკეტი 100 დოლარს მიაღწევს და იქნება სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი კომპონენტი“**. ეს ჩანაწერი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პენსია მიაღწევს 100 დოლარს (პაკეტი მიაღწევს 100 დოლარს). ვეთანხმები, ეს რეფორმა სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი ნამდვილად იქნება (იმიტომ, რომ მე დღეში 2 დოლარზე ვსაუბრობდი, ხოლო თუ 100 დოლარი გახდა, ჩვენ ღარიბი პენსიონერი აღარ გვეყოლება), მაგრამ როდის, აქ ხომ ვადები არ არის მითითებული?! ეს კი ფაქტობრივად აბსტრაქტული ჩანაწერია, რადგან ფრაზა „არაუგვიანეს 2012 წლისა“ პროგრამის ენა არ არის **— დაპირება კონკრეტული იყო, ვალდებულება კი — ბუნდოვანია.**

კიდევ ერთი ბუნდოვანი ჩანაწერი — **„ბიუჯეტის 1/3 მიმართული იქნება სოციალურ პროგრამებზე“,** – ამ პატივსაცემ ხალხს ხომ შეეძლოთ ჩაეწერათ, **„არანაკლებ 1/3-ისა“,** ან **„არაუმეტეს 1/3-ისა“**, ზუსტად 1/3 ყოველთვის როგორ იქნება მიმართული სოციალურ პროგრამებზე?! ამ თვალსაზრისით, ეს ჩანაწერი საკმაოდ უხერხულად გამოიყურება. შეიძლება ვინმემ ჩემზე თქვას, წვრილმანზე ედავებაო. მე კი ვამბობ, რომ ეს არ არის წვრილმანი, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი ბიუჯეტის ზრდის კვალობაზე ბიუჯეტის 1/3 საკმაოდ დიდი ნაწილია, სოციალურ პროგრამებზე გაშვებული ხარჯები კი უშუალოდ ინფლაციური ხარჯებია! ასე რომ, ეს საკითხიც დიდ კითხვის ნიშანს ბადებს და არა მხოლოდ ეს. ვთქვათ, ასეთი ჩანაწერი: **„შენარჩუნებული იქნება პოზიტიური მიგრაცია. ფაქტობრივი მოსახლეობა 150 ათასით გაიზრდება, საშშობლოში დაბრუნებულთა რიცხვი გადააჭარბებს ემიგრირებულთა რიცხვს“** (ძალიან გთხოვთ, თქვენმა ჟურნალმა ერთი კარგი დემოგრაფიული მასალა გააკეთოს საქართველოში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით). ეს

ძალიან რთული ჩანაწერია, რომელიც ცუდად შეიძლება შემოგვიბრუნდეს. თუ ავტორები გულისხმობენ, რომ მომავალ 5 წელიწადში მოხდება საქართველოს სრული რეინტეგრაცია, ანუ მოხდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემოერთება (რასაც, ცხადია, სულით და გულით მივესალმები), მაშინ რაოდენობა 150 ათასი ცოტაც შეიძლება იყოს. თუ აქ ის ადამიანები იგულისხმებიან, ვინც ამ წლების განმავლობაში დატოვა ქვეყანა და ისინი უნდა დაბრუნდნენ, ისმის კითხვა, რატომ, რის საფუძველზე?

„ბ.კ.“ რა ეკონომიკურ მოდელს ირჩევს მთავრობა თავისი უპირატესობის დასამკვიდრებლად (ტელისუფლებაში ყოფნის პერიოდის გასახანგრძლივებლად), აცხადებს რა, რომ მომდევნო 5 წლის განმავლობაში შენარჩუნდება ბოლო წლების კურსი და დინამიკა. მის მხრიდან რამდენად იგრძნობა პასუხისმგებლობა აღებული ვალდებულებების მიმართ?

— ამ დოკუმენტით და კანონპროექტთა იმ პაკეტით, რომელიც მთავრობამ პარლამენტში წარმოადგინა, წინა წლების კურსი ნამდვილად შენარჩუნებულია — საქართველოს სახელმწიფოს ნგრევა გრძელდება! თუმცა, პრეზიდენტი გვპირდებოდა, რომ აქამდე „**უცხოპლანეტელებით**“ დაკომპლექტებული ცუდი მთავრობა გვყავდა და იმან გაუფუჭა საქმე ქვეყანას და რომ ის „ცუდი“ მთავრობა მოსაშორებელია. ახალ დოკუმენტში კი წერია, რომ ძველი კურსი შენარჩუნებულია(?). ამ კურსის კონტექსტში კი არის ისეთი საკითხები, როგორებიცაა: **თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საბოლოოდ გაფორმება (რომელიც დაღუპავს საქართველოს ეკონომიკას და არა მარტო ეკონომიკას!) და რომ უნდა გაუქმდეს ეროვნული ბანკი**. ასე რომ, კურსი ნამდვილად შენარჩუნებულია და ეს რატომ არის საამაყო, ნამდვილად არ მესმის, სააკაშვილი ხომ გვპირდებოდა, რომ კურსი უნდა შეცვლილიყო(?!)

რაც შეეხება მთავრობის მიერ არჩეულ ეკონომიკურ მოდელს, ახალს არაფერს გამოვიგონებ, რადგან ჩემზე უკეთესად უკვე თქვეს და ეს თქვა ბატონმა **სოსო ციხარიშვილმა** – **ამ მოდელს ჰქვია „ბენდუნომიკა“**. მე ყოველთვის ვაღიარებ სწორ მიგნებასა და კარგ გამონათქვამს. ამაზე უკეთეს ახალ ტერმინს ვერ მოვიგონებთ, **„საქართველოში ჰყვავის „ბენდუნომიკა“, ეს ბრწყინვალე ნათქვამია!** ახალი სამთავრობო ცვლილებით ბენდუქიძის გავლენის სფერო არათუ შესუსტდა, უფრო გაძლიერდა კიდეც. აქამდე **კახა ბენდუქიძე** იყო მთავრობის საკმაოდ გავლენიანი, გონებამახვილი, ჭკვიანი და ძლიერი, საკუთარი თავისთვის მომართული, მაგრამ მაინც მისი ერთ-ერთი წევრი. ახლა ის მინისტრი არ არის, **ოფიციალურად პოლიტიკაში არც უნდა ჩანდეს, ის კანცელარიის გამგეა, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ ბატონი კახა ბენდუქიძე დოკუმენტების ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილებაზე ოცნებობდა ოდესმე**. მას ეყოლება მოადგილე, რომელიც ამას გააკეთებს. მაშინ, რა ფუნქცია ენიჭება მას? — **მთავრობის სხდომაზე ვერცერთი საკითხი ვერ შევა, თუ არ არის კანცელარიის გამგის ვიზა. ამით ბენდუქიძე ხდება პრაქტიკულად მთავრობის ცენზორი, ანუ იგი გადაწყვეტს, რომელი საკითხი გავიდეს და რომელი** – **არა**. აქვე შეგახსენებთ პრემიერ **ლადო გურგენიძის** განცხადებას, რომ **კახა ბენდუქიძე** მისი თანამოაზრე და იდეების გენერატორია. ასე რომ, **ამ ახალი გადაადგილებით კახა ბენდუქიძე იძენს „რუხი კარდინალის“ ფუნქციას — ავანსცენაზე ოფიციალურად არ ჩანს, თუმცა, ყველაფერს აკონტროლებს.**

„ბ.კ.“ იანვრის არჩევნებში ჩატარებული პლებისციტის მიხედვით, საპარლამენტო არჩევნები გაზაფხულზე უნდა დაინიშნოს. აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი სამთავრობო პროგრამა ხომ არაა წინასაარჩევნო დაპირებების ერთგვარი კასკადი?

— არა მგონია, რომ წინასარჩევნოდ ეს დოკუმენტი ვინმეს გაახსენდეს. პირიქით, საპარლამენტო არჩევნების წინ ახალი დაპირებების ფოიერვერკი იქნება იმისთვის, რათა ამომრჩეველთა ხმები ხელახლა იქნას ნაყიდი. ასე რომ, რბილად რომ ვთქვათ, ჩვენ წინ გველის პოპულისტური განცხადებების კიდევ არაერთი კურიოზი, რომელთა ასახვაც იძულების წესით თავის პროგრამაში მოუწევს გამარჯვებული პარტიის (თუკი ასეთი ერთი იქნა) მთავრობას. მე მაინც ვიმედოვნებ, რომ ჩვენი მომავალი პარლამენტი უფრო მრავალფეროვანი იქნება და შესაძლებელი გახდება, გვყავდეს დაბალანსებული მთავრობა. **„ბენდუნომიკა“** საქართველოში უნდა დამთავრდეს, რადგან ეს ხალხური თვითშემოქმედების ერთ-ერთი ნაირსახეობაა. არის ხელოვნება და არის ხალხური თვითშემოქმედება. **ჩვენ დღეს მთავრობაში გვაქვს ხალხური თვითშემოქმედება, ჩვენ კი ხელოვნების ოსტატები გვჭირდება. როგორი კარგიც არ უნდა იყოს ხალხური თვითშემოქმედება, ის მაინც თვითშემოქმედებაა.**

მოამზადა
ილნარ გორელიშვილმა